

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა

და ეპიდემიოლოგია“

ეთერ კილურაძე

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ორი მოდელის შედარებითი

ანალიზი

პირველადი Pap ტესტისა და Hr HPV ტესტირების საფუძველზე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჩიხლაძე

მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

თანახელმძღვანელი: თამარ ალიბეგაშვილი

მედიცინის აკადემიური დოქტორი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

მიზანი: ამ კვლევის მიზანი იყო მაღალი რისკის ადამიანის პაპილომავირუსის დნმ (HPV) ტესტის ეფექტურობის შეფასება HPV16/18 გენოტიპირებით და თხევადი ციტოლოგიური (LBC) ტრიაჟით, როგორც საშვილოსნოს ყელის კიბოს პირველადი სკრინინგის მეთოდის, სტანდარტულ Pap ტესტთან შედარებით, ქალებში, რომლებიც გადიოდნენ რუტინულ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგს თბილისში, საქართველოში.

ასევე, ადამიანის პაპილომავირუსის 16/18 ტიპების, პათოლოგიური Pap შედეგების და საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის CIN2+-ის ასაკობრივი პრევალენტობის შეფასება სკრინინგგავლილ ქალებში. გარდა ამისა, კვლევა მიზნად ისახავდა HPV-ს გენოტიპირების, Pap- ტესტის შედეგებსა და CIN2+ დაავადების არსებობას შორის კავშირის შეფასებას, რაც მნიშვნელოვანია ინფორმაციას სწორი კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისათვის და მკურნალობის სტრატეგიის გასაზღვრისათვის.

მეთოდები: ჩატარდა პროსპექტული და ჯვარედინ-სექციური კვლევა, სადაც 30-დან 60 წლის ჩათვლით ასაკის 1000 ქალს, ერთი ვიზიტის დროს, ჩატარდა ტრადიციული Pap ტესტი და HPV ტესტი, Roche Cobas 4800 სისტემის გამოყენებით. სკრინინგის ნებისმიერი დადებითი შედეგის მქონე ქალები გაიგზავნენ შემდგომი შეფასებისთვის, ხოლო ორივე ტესტის უარყოფითი შედეგების ხელახალი ტესტირება დაიგეგმა სამი წლის შემდეგ. დადებითი ტესტების ყველა შემთხვევაში, Roche Cell Collection მედიუმ ფლაკონიდან დარჩენილი უჯრედები გამოიყენებოდა LBC-სთვის. ატიპური Pap და/ან დადებითი HPV ტესტის შემთხვევაში, ჩატარდა კოლპოსკოპია, რომლის პათოლოგიური დასკვნის შემთხვევაში, აღებული იქნა ბიოფსიის ნიმუშები ჰისტოლოგიური ანალიზისთვის CIN2+ დაავადების არსებობის დასადგენად. თითოეული სკრინინგის მეთოდისთვის გამოითვალა მგრძნობელობა, სპეციფიკურობა, დადებითი (PPV) და უარყოფითი პროგნოზირებადი მნიშვნელობა (NPV) და შეფასდა ROC მრუდი. აგრეთვე ჩატარდა HPV ინფექციის, პათოლოგიური Pap-შედეგების და CIN2+ პრევალენტობის განსაზღვრა, ხოლო HPV 16/18 ტიპების და CIN2+ დაავადებასთან ერთად

პათოლოგიურ Pap-შედეგს შორის კავშირის შესაფასებლად ჩატარდა მრავალ-ვარიანტული ანალიზი.

შედეგები: HPV ტესტმა HPV16/18 გენოტიპირებით და LBC ტრიაჟით აჩვენა უფრო მაღალი მგრძნობელობა (76.92%), სპეციფიკურობა (71.64%) და PPV (34.48%) ტრადიციულ Pap ტესტთან შედარებით ($p < 0.05$). NPV ასევე იყო მაღალი HPV ტესტის დროს (94.12%). მხოლოდ HPV ტესტს ჰქონდა ყველაზე მაღალი მგრძნობელობა (92.31%) და NPV (96.67%), მაგრამ უფრო დაბალი სპეციფიკურობა (41.43%) და PPV (22.64%), ვიდრე HPV ტესტმა HPV16/18 გენოტიპირებით და LBC ტრიაჟით ($p < 0.05$). AUC-ების შედარებისას, მხოლოდ HPV ტესტმა HPV16/18 გენოტიპირებით და LBC ტრიაჟით აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ტრადიციულ Pap-თან შედარებით (0,71 შედარებით 0,55-თან, $p = 0,03$) და AUC 0,71 მაღალი ციფრები (95% CI: 0.58; 0.85).

სრული მონაცემების მქონე 981 ქალებში, მაღალი რისკის მქონე HPV-ის პრევალენტობა იყო 11.3%, ხოლო 16/18 გენოტიპების HPV-ის - 3.4% (95% CI: 2.3%-4.7%). ნებისმიერი პათოლოგიური Pap-შედეგის პრევალენტობა იყო 11.0% (95% CI: 9.1%-13.1%) და CIN2+ დაავადებების პრევალენტობა იყო 1.3% (95% CI: 0.7%-2.2%). ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით სტრატეფიკაციამ აჩვენა Hr-HPV და პათოლოგიური Pap შედეგების უფრო მაღალი პრევალენტობა 30-39 წლის ასაკის ქალებში, რაც შემცირდა უფროს ასაკობრივ ჯგუფებში. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები პრევალენტობებს შორის დაფიქსირდა 16/18 გენოტიპების HPV-სა და პათოლოგიური Pap-შედეგებისთვის, მაგრამ არა $\geq$ CIN2 დაავადებისთვის. პუასონის რეგრესიის მოდელი მიუთითებდა ძლიერ კავშირზე HPV 16/18 გენოტიპებსა და CIN2+ დაავადებას შორის (PR 49.90, 95% CI: 18.45-134.92, $p < 0.0001$). პათოლოგიურმა Pap-ტესტის შედეგებმა აჩვენა მნიშვნელოვანი კავშირი ერთ-ვარიანტულ ანალიზში, მაგრამ არა მრავალ-ვარიანტულ მოდელში. ასაკსა და CIN2+ დაავადებას შორის კავშირი არ დაფიქსირებულა.

დასკვნა: შედეგები მიუთითებს, რომ HPV ტესტი HPV16/18 გენოტიპირებით და LBC ტრიაჟით პირველადი სკრინინგის უფრო ეფექტური მეთოდია, ვიდრე ტრადიციული Pap ტესტი. ასაკთან ერთად იცვლება 16/18 ტიპის HPV-ის და პათოლოგიური Pap შედეგების პრევალენტობა, თუმცა CIN2+-ის პრევალენტობის

მზრივ, მნიშვნელოვანი განსხვავებები არ იქნა დაფიქსირებული. HPV გენოტიპირება შეიძლება იყოს $\geq$ CIN2 დაავადების უფრო საიმედო პროგნოზული ფაქტორი Pap ტესტირებასთან შედარებით, რაც ხაზს უსვამს HPV სკრინინგის დანერგვის მნიშვნელობას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, HPV ტესტი, ციტოლოგია

Abstract:

Objective: This study evaluated the effectiveness of high-risk human papillomavirus (HPV) DNA testing with HPV16/18 genotyping and liquid-based cytology (LBC) triage as a primary cervical cancer screening method compared to conventional Pap tests in women undergoing routine cervical cancer screening in Tbilisi, Georgia. It also assessed the age-specific prevalence of HPV16/18 infections, abnormal Pap results, and cervical intraepithelial neoplasia (CIN2+) and examined associations between HPV genotyping, Pap test results, and CIN2+ disease to inform clinical decision-making and treatment strategies.

Methods: A cross-sectional, prospective study enrolled 1,000 women aged 30-60, who underwent both conventional Pap smear and HPV testing using the Roche Cobas 4800 system during a single visit. Women with positive screening results were referred for further evaluation, while those with negative results for both tests were scheduled for retesting after three years. For positive cases, residual cells from the Roche Cell Collection Medium vial were used for LBC. Colposcopy was performed for women with atypical Pap results and/or HPV-positive tests, and biopsies were collected from those with abnormal findings to confirm CIN2+ histologically.

Diagnostic accuracy metrics, including sensitivity, specificity, positive predictive value (PPV), and negative predictive value (NPV), were calculated for each screening method. Receiver operating characteristic (ROC) curves were used to evaluate diagnostic accuracy. Statistical analyses estimated the prevalence of HPV infection, abnormal Pap results, and CIN2+ disease. Multivariate analysis assessed associations between HPV16/18 genotypes, abnormal Pap results, and CIN2+ disease.

Results: HPV testing with HPV16/18 genotyping and LBC triage showed significantly higher sensitivity (76.92%), specificity (71.64%), and PPV (34.48%) compared to conventional Pap tests ($p < 0.05$). The NPV was also high (94.12%). HPV testing alone had the highest sensitivity (92.31%) and NPV (96.67%) but lower specificity (41.43%) and PPV (22.64%) than the combined approach ($p < 0.05$). The area under the curve (AUC) for the combined method was significantly better than for Pap testing alone (0.71 vs. 0.55, $p = 0.03$), with an AUC of 0.71 (95% CI: 0.58–0.85).

Among 981 women with complete data, the prevalence of high-risk HPV (Hr-HPV) was 11.3%, and HPV16/18 accounted for 3.4% (95% CI: 2.3%–4.7%). Abnormal Pap results were found in 11.0% (95% CI: 9.1%–13.1%), and CIN2+ prevalence was 1.3% (95% CI: 0.7%–2.2%). Younger women aged 30–39 showed higher Hr-HPV and abnormal Pap prevalence, with rates decreasing in older age groups. Significant associations were observed between HPV16/18 genotypes and CIN2+ disease (PR 49.90, 95% CI: 18.45–134.92, $p < 0.0001$), while abnormal Pap results were significant in univariate analysis but not in the multivariate model. Age was not associated with CIN2+ disease.

Conclusion: HPV testing with HPV16/18 genotyping and LBC triage is a more effective primary cervical cancer screening method compared to conventional Pap tests. The prevalence of HPV16/18 and abnormal Pap results varies by age, but no significant differences were observed for CIN2+ prevalence. HPV genotyping is a stronger predictor of CIN2+ disease than Pap testing, underscoring the importance of implementing HPV-based screening programs in Georgia.

Key words: cervical cancer screening, HPV test, cytology

სარჩევი

აბსტრაქტი.....	I
Abstract:	III
სარჩევი.....	V
ცხრილების, გრაფიკების, სურათების და სქემების ჩამონათვალი	VII
შემოკლებები, აბრევიატურების ჩამონათვალი.....	X
შესავალი.....	1
კვლევის აქტუალობა	10
კვლევის ჰიპოთეზა/საკვლევი საკითხები.....	10
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	11
პირველადი პრევენცია - HPV ვაქცინაცია	13
სკრინინგი - მეორადი პრევენცია.....	16
ციტოლოგიაზე დაფუძნებული საშვილოსნოს ყელის სკრინინგი.....	20
ციტოლოგია.....	21
HPV-ზე დაფუძნებული საშვილოსნოს ყელის სკრინინგი	22
ნიმუშის თვითღება.....	23
ადამიანის პაპილომავირუსი	23
HPV გენომის ორგანიზაცია	23
HPV გენოტიპები	25
HPV პრევალენტობა.....	26
HPV ინფექციის გადაცემა და ტრანსფორმაცია.....	27
პერსისტულობა.....	31
ლატენტურობა.....	31
ტესტი ადამიანის პაპილომავირუსის აღმოსაჩენად	32
სკრინინგის ტრიაჟი.....	32
კოლპოსკოპია და ბიოფსია.....	34
ჰისტოლოგია.....	35
კიბოსწინარე დაზიანებების მკურნალობა.....	36
Pap ტესტის და HPV ტესტის ეფექტიანობის შედარება HSIL-ის აღმოჩენაში	36
HPV ტესტი, როგორც CIN-ის პროგრესის ან რეგრესის პროგნოზული მაჩვენებელი	37
Pap ტესტის და HPV ტესტის ეფექტიანობის შედარება საშვილოსნოს ყელის ჯირკვლოვანი დაზიანების გამოვლენაში.....	38
HPV პირველადი სკრინინგის პოტენციური ზიანი.....	40
ანალიზი:	41
პირველადი HPV ტესტისა და ციტოლოგიის ხარჯთეფექტურობის შედარება	43
კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდიკები და მეთოდები.....	50
მასალები და მეთოდები.....	50
კვლევის პროცედურა	52
კვლევის ეთიკის საკითხები	55
კვლევის შედეგები და მათი ანალიზი.....	56
შედეგების ანალიზი.....	60
ROC მრუდის ანალიზი.....	60
პრევალენტობის შეფასება	62

დისკუსია	64
დასკვნები და რეკომენდაციები.....	75
დასკვნები.....	75
პრაქტიკული რეკომენდაციები:	75
გამოყენებული ლიტერატურა.....	77
გამოქვეყნებული ნაშრომების სია	113

ცხრილების, გრაფიკების, სურათების და სქემების ჩამონათვალი

	ცხრილის დასახელება	გვერდი N
1.	ცხრილი N1. ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო, 2023	5
2.	ცხრილი N2. საშვილოსნოს ყელის კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა ქალებში, საქართველო, 2015-2023	5
3.	ცხრილი N3. საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2023	6
4.	ცხრილი N4. 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები ლოკალიზაციის მიხედვით (%), ორივე სქესი, საქართველო	7
5.	ცხრილი N5. ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო გეგმიური აცრებით მოცვა 2023-2019 წწ.	8
6.	ცხრილი N6. სკრინინგული კვლევებით საქართველოს (თბილისისა და რეგიონების) მიზნობრივი მოსახლეობის მოცვის მაჩვენებლები	9
7.	ცხრილი N7. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ტესტები	19
8.	ცხრილი N8. ტრადიციულ Pap ტესტის, HPV ტესტის, ბიოფსიისა და LBC Pap ტესტის შედეგები	58
9.	ცხრილი N9. ბიოფსიის შედეგები HPV ტესტის შედეგისა და LBC Pap ტესტის შედეგის მიხედვით	58
10.	ცხრილი N10. ტრადიციული Pap-ტესტი, HPV 16/18 გენოტიპირება LBC Pap-ის ტრიაჟით, მხოლოდ HPV ტესტის და LBC Pap ტესტის მგრძნობელობის, სპეციფიკურობის, PPV და	59

	NPV მაჩვენებლები (95% CI) გამოთვლით Wilson-ის ქულების მეთოდის გამოყენებით	
11.	ცხრილი N11. CIN2+ დაავადების არსებობასთან დაკავშირებული ფაქტორები	64

	გრაფიკის დასახელება	გვერდი
1.	გრაფიკი N1 საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა (100000 ქალზე), საქართველო, 2023	6
2.	გრაფიკი N2. საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო, 2023	7
3.	გრაფიკი N3. ROC მრუდები-ტრადიციული Pap ტესტის (სქემა N1), HPV 16/18 გენოტიპირების LBC პაპ ტესტის ტრიაჟით (სქემა N2), მხოლოდ HPV და LBC პაპ ტესტის შედარებისთვის	61
4.	გრაფიკი N4. HPV 16/18 გენოტიპის, პათოლოგიური Pap-შედეგის და CIN2+დაავადების პრევალენტობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით	63

	სურათის დასახელება	გვერდი
1.	სურათი N1. HPV-16 გენომის სქემატური წარმოდგენა	24

	სქემის დასახელება	გვერდი
1.	სქემა N1. საშვილოსნოს ყელის კიბოს პაპ ტესტზე დაფუძნებული სკრინინგის მოდელი	51

2.	სქემა N2. საშვილოსნოს ყელის კიბოს HPV ტესტირებაზე დაფუძნებული სკრინინგის	51
3.	სქემა N3. კვლევის პოპულაციის დიაგრამა	63

შემოკლებები, აბრევიატურების ჩამონათვალი

AGC - ატიპიური ჯირკვლოვანი უჯრედები (atypical glandular cells)

AGUS- ატიპიური ჯირკვლოვანი ეპითელიოციტები განუსაზღვრელი ატიპიით (atypical glandular cells of undetermined significance)

AIS - ადენოკარცინომა in situ (adenocarcinoma in situ)

ASC - ატიპიური ბრტყელი ეპითელიოციტები (atypical squamous cells)

ASC-H- ატიპიური ბრტყელი ეპითელიოციტები მაღალი ხარისხის დაზიანების გამორიცხვის შეუძლებლობით (atypical squamous cells cannot exclude HSIL)

ASC-US - ატიპიური ბრტყელი ეპითელიოციტები განუსაზღვრელი მნიშვნელობის ატიპიით (atypical squamous cells of undetermined significance)

CDC - დაავადებათა კონტროლის ცენტრები (Centers for Disease Control)

CEA - ხარჯთეფექტურობის ანალიზი (cost effectiveness analyses)

CC - საშვილოსნოს ყელის კიბო (cervical cancer)

CI- სარწმუნოების ინტერვალი (confidence interval)

CIN - ცერვიქსის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (cervical intraepithelial neoplasia grade)

CIS - კარცინომა in situ (carcinoma in situ)

DNA – დეოქსირიბონუკლეინის მჟავა (deoxyribonucleic acid)

DRR - გამოვლენის სიჩქარეთა თანაფარდობა (detection rate ratio)

ECC - ენდოცერვიქსული გამოფხეკა, კიურეტაჟი (endocervical curettage)

ECDC – ევროპის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრი (European Centre for Disease Prevention and Control)

EU- ევროკავშირი (European Union)

HC2- Hybrid Capture® 2. მაღალი რისკის HPV დნმ ტესტი™

Hr HPV- მაღალი რისკის HPV ტიპი (high-risk HPV type)

HPV - ადამიანის პაპილომა ვირუსი (human papillomavirus)

HSIL- მაღალი ხარისხის ცერვიქსის ინტრაეპითელური დაზიანება

(high-grade squamous intraepithelial lesion)

IARC - კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტო (International Agency for Research on Cancer)

ICER -დამატებითი ხარჯთეფექტურობის თანაფარდობა (incremental cost-effectiveness ratio)

LBC- სითხური ციტოლოგია (liquid-based cytology)

LEEP - მარყუქით ელექტროქირურგიული ექსციზიური პროცედურა (loop electrosurgical excision procedure)

LLETZ-მარყუქით ტრანსფორმაციის ზონის ფართე ექსციზიო (large loop excision of the transformation zone)

LSIL - დაბალი ხარისხის ბრტყელუჯრედოვანი ინტრაეპითელური დაზიანება (lowgrade squamous intraepithelial lesion)

NPV - უარყოფითი პროგნოზული ღირებულება (negative predictive value)

NTCC- ახალი ტექნოლოგიები საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისთვის (New Technologies for Cervical Cancer Screening)

Pap ტესტი -საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების ციტოლოგიური დიაგნოსტიკის ტესტი დაფუძნებული პაპანიკოლაუს მეთოდზე

PCR - პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (polymerase chain reaction)

PPV -დადებითი პროგნოზული ღირებულება (positive predictive value)

QALY -ხარისხზე მორგებული სიცოცხლის წლები (quality-adjusted life year)

RCT -რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა (randomized controlled trial)

SCJ-საზღვარი ბრტყელ და ცილინდრულ ეპითელიუმებს შორის (squamo-columnar junction)

SE - მგრძნობელობა (sensitivity)

SIL-ბრტყელუჯრედული ინტრაეპითელური დაზიანება (squamous intraepithelial lesion)

SP - სპეციფიკურობა (specificity)

TBS ბეტესდას სისტემა საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების ციტოლოგიური შეფასების სისტემა (კლასიფიკაცია) (The Bethesda System)

TZ- ტრანსფორმაციის ზონა (transformation zone)

WHO - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (World Health Organization)

სყვ - საშვილოსნოს ყელის კიბო

ჯანმო - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

შესავალი

საშვილოსნოს ყელის კიბო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კიბოა ქალებში და ქალთა სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზი მთელ მსოფლიოში. იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გამოწვევას და მეოთხე ადგილი უჭირავს გავრცელების თვალსაზრისით ქალებს შორის მსოფლიოში. ის მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის ერთი მხრივ, ქალთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს, რომელსაც ასეთი პაციენტების სამკურნალოდ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი ესაჭიროება. GLOBOCAN/IARC 2022-ის მონაცემების მიხედვით, სავარაუდოდ, 661,021 ქალს დაუდგინდა საშვილოსნოს ყელის კიბო და 348,189 ქალი გარდაიცვალა ამ დაავადებით (Bray et al., 2024).

საშვილოსნოს ყელის კიბოს ყველაზე მაღალი ინციდენტობა და სიკვდილიანობა დაფიქსირებულია აფრიკის ქვეყნებში, ხოლო, აზიაში შემთხვევების მნიშვნელოვანი წილი მოდის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე. რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, აღმოსავლეთ ევროპაში ინციდენტობა და სიკვდილიანობა უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ ევროპაში. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ ამერიკა გამოირჩევა საშვილოსნოს ყელის კიბოს დაბალი მაჩვენებლებით, ხოლო ლათინურ ამერიკასა და კარიბის რეგიონში, მისი გავრცელება შედარებით მაღალია. ასევე, აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა დაახლოებით 90% მოდის დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებზე (Bray et al., 2024).

საშვილოსნოს ყელის კიბო ვითარდება სქესობრივი გზით გადამდები მაღალი რისკის მქონე ადამიანის პაპილომავირუსული (Hr-HPV) ინფექციის ხანგრძლივი პერსისტირებისას, რომელიც შეიძლება პროგრესირებდეს კიბოსწინარე ეტაპების გავლით, როგორიცაა CIN2 და უფრო მაღალი ხარისხის საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზია (CIN2+). საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევებისა და სიკვდილიანობის უდიდესი ნაწილის დაფიქსირება დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, ხაზს უსვამს ეფექტური

პრევენციისა და კონტროლის სტრატეგიების გადაუდებელ საჭიროებას. სარწმუნოდ დადგენილია, რომ HPV გენოტიპების განაწილება საშვილოსნოს ყელის კიბოებს შორის ცვალებადობს ქვეყნისა და რეგიონის მიხედვით (Bruni, Diaz, Castellsagué, Ferrer, Bosch, & de Sanjosé, 2010)(Arbyn et al., 2013) (Poljak et al., 2013). (Arbyn et al., 2013).

HPV16 და HPV18 მსოფლიოში ყველაზე პრევალენტური გენოტიპებია (de Sanjosé et al., 2007)(Cohen et al., 2019) (Castellsagué et al., 2012) და ისინი პასუხისმგებლები არიან საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების 70%-ის განვითარებაზე (de Martel et al., 2017).

ინფორმაცია Hr-HPV და CIN2+ პოპულაციაში პრევალენტობის შესახებ გადამწყვეტია დაავადების ტვირთის გასაგებად და შესაბამისი სკრინინგისა და პრევენციის სტრატეგიების წარმართვისთვის. ის ასევე იძლევა ძირითად ინფორმაციას რესურსების განაწილებისა და სკრინინგის პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. პოპულაციაზე დაფუძნებული მონაცემები საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე დაავადებების შესახებ ასევე მნიშვნელოვანია მომავალში HPV ვაქცინაციის გავლენის შესაფასებლად.

ეს წარმოადგენს ჯანმრთელობით და ფინანსურ ტვირთს, როგორც ქალებისთვის, ასევე, ქვეყნის მთავრობისთვის. თუმცა, სეკ არის ერთ-ერთი ყველაზე პრევენტირებადი დაავადება ადამიანის პაპილომა ვირუსის (HPV) ვაქცინაციისა და სკრინინგის გზით, საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე დაზიანებების- საშვილოსნოს ყელის მე-2 ხარისხის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (CIN2) და მეტი ხარისხის (CIN 2+) ზუსტი დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის ჩათვლით (von Karsa et al., 2015a).

60 წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში, მთელ მსოფლიოში Pap ტესტი გამოიყენება სეკ-ს პირველადი სკრინინგული ტესტის სახით (Papanicolaou, 1942) (Cuzick et al., 2006). მისმა დანერგვამ თითქმის 80%-ით შეამცირა სეკ-ს ინციდენტობა კარგად ორგანიზებული სკრინინგის პროგრამების მქონე ქვეყნებში (Quinn et al., 1999) (Arbyn et al., 2009) (Jemal et al., 2010) თუმცა, Pap ტესტს გააჩნია რამდენიმე შეზღუდვა:

-ტრადიციული ციტოლოგიის გაერთიანებული მგრძნობელობა და სპეციფიკურობა იყო 65.87% (54.94-დან 75.33%-მდე) და 96.28% (94.72-დან 97.39%-მდე), შესაბამისად (Koliopoulos et al., 2017a). ეს იწვევს ცრუ უარყოფითი შედეგების დიდ პროპორციას და შედეგად, გამორჩენილ საშვილოსნოს ყელის დაზიანებებს. დაბალი უარყოფითი პროგნოზული მნიშვნელობა ასახავს Pap ტესტის განმეორების აუცილებლობას 3-5 წლის ინტერვალით CIN2+-ის აღმოსაჩენად (Arbyn et al., 2010a).

ციტოლოგია აჩვენებს სუბიექტურობის მაღალ ხარისხს და შედეგები დამოკიდებულია ნაცხის ხარისხზე და ციტოპათოლოგანატომის უნარებზე. აქედან გამომდინარე, მხოლოდ კარგად ტრენირებულ ციტოტექნიკოს-პათოლოგანატომებს, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან ხარისხის უზრუნველყოფის სესიებს, შეუძლიათ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ჩატარება (Arbyn et al., 2010a) (Sankaranarayanan et al., 2004).

Pap ტესტზე დაფუძნებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა წარმატებულია, თუ ის ემყარება გამოძახება- განმეორებით გამოძახების მოდელს (Parkin et al., 2005)(Bray et al., 2005a) (Peto et al., 2004). თუმცა, ხარჯებისა და განხორციელების პრობლემების გამო, სკრინინგის ამ მეთოდს მხოლოდ შეზღუდული გავლენა ჰქონდა დაბალი რესურსების მქონე ქვეყნებში, სადაც ის ყველაზე მეტად საჭიროა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ახალმა სამეცნიერო აღმოჩენებმა და მაღალი ხარისხის კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანის პაპილომავირუსის (HPV) ტესტი არის მაღალი სიზუსტის ალტერნატივა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისთვის (von Karsa et al., 2015a) (Ronco et al., 2014a) (Wright et al., 2015a). HPV ტესტი ადვილი ჩასატარებელია არასპეციალიზებულ ლაბორატორიაში და აქვს რეპროდუქციულობის მაღალი ხარისხი (Carozzi et al., 2005). ტესტს აქვს რამდენიმე უპირატესობა ციტოლოგიასთან შედარებით:

-მაღალი გაერთიანებული მგრძნობელობა (95.13% [89.50-დან 97.84-მდე]) CIN2+-ის აღმოსაჩენად, რაც 37%-ით მეტია ციტოლოგიასთან შედარებით ყველაზე დაბალ ციტოლოგიურ საშუალო ზღვარზე (ASC-US+)(Koliopoulos et al., 2017a);

-მაღალი სკრინინგის ინტერვალი - 5-10 წელი (*WHO Guideline for Screening and Treatment of Cervical Pre-Cancer Lesions for Cervical Cancer Prevention*, 2021) (World Health Organization, 2021);

-შედეგების მაღალი ობიექტურობა (შედეგები არ არის დამოკიდებული ტექნიკოსის უნარებზე) (Cuzick et al., 2006).

ჯანმო-ს, ევროპული და ამერიკული ორგანიზაციების ახალი საერთაშორისო რეკომენდაციები, დღეისათვის აღიარებენ HPV ტესტს, როგორც ციტოლოგიაზე უკეთეს ტესტს სკრინინგისთვის (von Karsa et al., 2015b)(*WHO Guideline for Screening and Treatment of Cervical Pre-Cancer Lesions for Cervical Cancer Prevention*, 2021) (World Health Organization, 2021) (Saslow et al., 2012)(Fontham et al., 2020) (Perkins et al., 2020)(Kyrgiou et al., 2020). ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ, როგორიცაა აშშ, ნიდერლანდები, ავსტრალია, თურქეთი, იტალია, დანია, ნორვეგია და ფინეთი, უკვე ჩაანაცვლა ციტოლოგიური სკრინინგი HPV სკრინინგით (Perkins et al., 2020)(Kyrgiou et al., 2020)(Gultekin et al., 2018)(Hawkes, 2018) (Ejegod et al., 2020) (Nygård et al., 2022)(Aitken et al., 2019a)(Poljak et al., 2013)(Maver & Poljak, 2020)(J. Bonde et al., 2022).

ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში (როგორიცაა ინდოეთი, მექსიკა და ჩინეთი), სადაც დანერგილია HPV სკრინინგის ტექნოლოგიები, ჩატარდა კვლევები Pap და HPV სკრინინგის შედეგების შესადარებლად, რათა დაედგინათ მოცემული ქვეყნებისთვის ამ მოდელის გამოყენების სარგებლები და უარყოფითი მხარეები (Mittal et al., 2016)(Basu et al., 2021)(Hurtado-Salgado et al., 2018)(Casas et al., 2022)(Clarke et al., 2019)(Clarke et al., 2019)(Ma et al., 2019)(Shi et al., 2011).

საქართველოში, საშვილოსნოს ყელის კიბო, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, შედიოდა ყველაზე გავრცელებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების ხუთეულში. თუმცა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, 2023 წელს, 306 ახალი შემთხვევით, გადაინაცვლა მე-6 ადგილზე და ამ სქესობრივ ჯგუფში რეგისტრირებული კიბოს ყველა ახალი შემთხვევის 4,8% შეადგინა (NCDC, ავთვისებიანი სიმსივნეები საქართველოში, 2015-2023) (*დაავადებათა კონტროლის*

და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ავთვისებიანი სიმსივნეები საქართველოში 2015-2023).

ლოკალიზაცია	აბალი შემთხვევების რაოდენობა	წილი (%) ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს აბალი შემთხვევების საერთო რაოდენობაში
სარძევე ჯირკვალი	2028	33.3
ფარისებრი ჯირკვალი	797	13.1
კოლორექტუმი	426	7.0
საშვილოსნოს ტანი	402	6.6
საკვერცხე	307	5.0
საშვილოსნოს ყელი	306	4.8


ცხრილი N1. ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი აბალწარმონაქმნების ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო, 2023

ამავე წყაროზე დაყრდნობით, ინციდენტობა 100000 ქალზე არის 15,8, ხოლო სიკვდილიანობა 4,9. აღნიშნული მაჩვენებლები წლების მიხედვით მოცემულია N2 ცხრილში

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
აბალი შემთხვევების რაოდენობა	363	414	314	294	351	328	306	271	306
% აბალი შემთხვევების საერთო რაოდენობიდან	6.2	7.2	5.7	5.1	5.9	5.7	5.1	4.6	4.8
ინციდენტობა 100000 ქალზე	18.7	21.3	16.2	15.2	18.2	17.0	15.9	14.1	15.8
სიკვდილიანობა 100000 ქალზე	8.5	9.5	8.1	8.6	8.5	8.1	7.8	3.9	4.9

ცხრილი N2. საშვილოსნოს ყელის კიბოთი განპირობებული ავადობა და სიკვდილიანობა ქალებში, საქართველო, 2015-2023

ასაკსპეციფიური ინციდენტობა ყველაზე მაღალია 55-59წ და 60-64წ ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო ყველაზე ნაკლები კი 40 წლამდე, ასევე, ხანდაზმულ ქალბატონებში.



გრაფიკი N1. საშვილოსნოს ყელის კიბოს ასაკ-სპეციფიური ინციდენტობა (100000 ქალზე), საქართველო, 2023

ასეთივე ტენდენცია შეინიშნება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სეკ-ს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილების შეფასებისას წლების მიხედვით (ცხრილი N3).

ასაკობრივი ჯგუფები	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
25-29	0.3	1.0	1.0	0.3	0.9	1.2	1.6	0.7	1.0
30-34	3.6	4.1	3.2	3.4	2.0	1.8	1.3	5.9	2.0
35-39	7.4	7.0	6.1	3.4	5.4	3.4	2.3	5.5	4.9
40-44	14.9	8.5	10.5	10.9	12.3	9.8	5.9	7.4	10.5
45-49	15.7	14.7	12.1	11.6	12.0	8.8	14.1	13.3	12.4
50-54	17.1	19.1	14.6	19.4	13.4	14.6	13.7	13.3	8.2
55-59	12.9	17.6	15.0	18.7	17.1	17.4	16.3	11.1	15.7
60-64	10.2	8.5	12.4	10.2	13.7	15.5	13.7	17.3	16.7
65-69	8.0	8.9	10.5	10.9	10.0	11.0	13.4	8.9	9.8
70-74	3.9	5.6	7.3	6.1	7.1	8.5	11.8	8.5	10.5
75-79	4.7	3.4	5.4	3.1	3.1	2.4	3.3	4.4	3.9
80-84	0.8	1.2	1.3	1.7	2.0	3.4	2.3	2.6	2.9
85+	0.6	0.5	0.6	0.3	1.1	2.1	0.3	1.1	1.6
სულ	100	100	100	100	100	100	100	100.0	100


ცხრილი N3. საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საქართველო, 2015-2023

2019 წელს დიაგნოსტირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებელი არის 62.9 %. ხოლო წლების მიხედვით მონაცემები მოცემულია ქვემოთ:

ლოკალიზაცია	2016-2020	2017-2021	2018 - 2022
ყველა ლოკალიზაცია	55.8	55.0	55.7
<i>მათ შორის:</i>			
ფარისებრი ჯირკვავი	97.1	97.6	96.1
in situ	96.5	92.3	90.6
სარძევე ჯირკვავი	76.0	75.3	74.7
საშვილოსნოს ტანი	70.6	68.8	68.4
საშვილოსნოს ყელი	65.0	59.8	62.9
შარდის ბუშტი	57.9	57.8	61.1
მელანომა	43.7	57.6	42.5

ცხრილი N4. 5-წლიანი გადარჩენის მაჩვენებლები ლოკალიზაციის მიხედვით (%), ორივე სქესი, საქართველო

მნიშვნელოვანია, ასევე, აღინიშნოს, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების გამოვლენა, მე-3 და მე-4 სტადიაზე, ხშირ შემთხვევაში, ჭარბობს პირველ და მე-2 სტადიაზე გამოვლენას.



გრაფიკი N2. საშვილოსნოს ყელის კიბოს ახალი შემთხვევების განაწილება სტადიების მიხედვით (%), საქართველო, 2023

საშვილოსნოს ყელის კიბოს თავიდან აცილება შესაძლებელია პირველადი და მეორადი პრევენციის საშუალებით, რაც გულისხმობს ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციასა და სკკ სკრინინგს.

ადამიანის პაპილომავირუსის (აპვ) საწინააღმდეგო ვაქცინაცია საქართველოში გეგმიური აცრების ეროვნულ კალენდარში 2019 წელს შევიდა. თავდაპირველად, ვაქცინაცია გათვალისწინებული იყო 10-12 წლის გოგონებისთვის, ხოლო 2023 წლის ივლისიდან ვაქცინაციის პროგრამა გაფართოვდა და მოიცვა 10-12 წლის ბიჭებიც.

ამასთან, 2023 წლიდან აპვ ვაქცინაცია უფასოდ, ასევე, ხელმისაწვდომია 13-45 წლის ქალებისა და 13-26 წლის კაცებისთვის. ამჟამად, საქართველოში აპვ ვაქცინაცია ტარდება ცხრაკომპონენტიანი ვაქცინით "გარდასილ 9".

ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო გეგმიური ვაქცინაციის მოცვის მაჩვენებლები (10-12 წლის მიზნობრივი ასაკობრივი ჯგუფი) წლებისა და დოზების მიხედვით მოცემულია ცხრილში ქვემოთ (წყარო NCDC):

წლები	2023		2022		2021		2020		2019	
აპვ	აპვ 1 (%)	აპვ 2 (%)	აპვ 1 (%)	აპვ 2 (%)	აპვ 1 (%)	აპვ 2 (%)	აპვ 1 (%)	აპვ 2 (%)	აპვ 1 (%)	აპვ 2 (%)
საქართველო	34,9	25,6	38	26	24	24	23	23	48	36

ცხრილი N5. ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო გეგმიური აცრებით მოცვა 2023-2019 წწ.

საქართველოში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა დაიწყო 2008 წელს და 2024 წლამდე ეფუძნებოდა ტრადიციულ Pap ტესტს (TBS-ბეტესდას 2001 სისტემის გამოყენებით). სკრინინგი გამიზნული იყო 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალებისათვის, სკრინინგის სამ წლიანი ინტერვალით.

საქართველოს ეროვნული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამის მონაცემების მიხედვით, მონაწილეების 14-15%-ს ჰქონდათ დადებითი Pap ტესტი. დადებითი შედეგების მქონე ყველა ქალი იგზავნებოდა კოლპოსკოპიაზე, ეროვნული გაიდლაინების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ

შემდგომი კოლპოსკოპია და ბიოფსია/ჰისტოლოგია აჩვენებდა, რომ ამ ქალების 65%-ს არ აღენიშნებოდა დაზიანებები, მათზე მაინც ხორციელდებოდა მეთვალყურეობა 6-12 თვის შემდეგ. ეს იწვევდა სკრინინგის პროგრამის გადატვირთვასა და ხარჯების გაზრდას, რაც ხაზს უსვამს საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ყველაზე ეფექტური, ზუსტი და ხარჯთეფექტური მოდელის დანერგვის მნიშვნელობას საქართველოში.

რაც შეეხება საქართველოში HPV-ის პრევალენტობის შესწავლის პირველ მცდელობას, იგი განხორციელდა კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს მიერ (IARC/WHO) 2007 წელს, რომელმაც შეაფასა HPV-ის ტიპები 1344 ქალში და გამოავლინა, რომ hr-HPV-ის პრევალენტობა იყო 8.6%, სადაც HPV16/18-ზე მოდიოდა შემთხვევების 1.9% (Alibegashvili et al., 2011)(Alibegashvili et al., 2011). თუმცა, ამის შემდეგ საქართველოში არ ჩატარებულა ახალი კვლევა HPV-ის პრევალენტობის შესახებ, ასევე, არ გამოკვლეულა HPV ტესტის უპირატესობა ციტოლოგიურ სკრინინგთან მიმართებით, საქართველოს პოპულაციაში, აღნიშნული მონაცემების, საშვილოსნოს ყელის კიბოს ეფექტური პრევენციისა და კონტროლისთვის, მნიშვნელობის მიუხედავად.

სკრინინგის მოცვის მაჩვენებელი (მიზნობრივი მოსახლეობის პროგრამაში ჩართულობა), ასევე, ძალიან დაბალია და ამ მიმართულებით სტრატეგიები საჭიროებს გადახედვას.

წლები	2022	2023	2024 (6 თვე)
საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	14.5%	15.3%	22.9%

ცხრილი N6. სკრინინგული კვლევებით საქართველოს (თბილისისა და რეგიონების) მიზნობრივი მოსახლეობის მოცვის მაჩვენებლები

კვლევის აქტუალობა

კვლევა, რომელიც ჩატარდა თბილისის ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ 2021 წლის ოქტომბრიდან 2022 წლის მაისამდე, არის პირველი, რომელიც ადარებს HPV-ზე და ტრადიციულ ციტოლოგიაზე დაფუძნებული საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის შედეგებს საქართველოში. და, შესაბამისად, იძლევა რეკომენდაციას, პირველადი სკრინინგის უფრო ეფექტური მეთოდის დანერგვის შესახებ.

ამ ნაშრომში ასევე წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი რისკის მქონე HPV-ის, პათოლოგიური Pap-ტესტის და CIN 2 ან უფრო მაღალი ხარისხის საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის (CIN2+) პრევალენტობის შეფასებას. ჩვენი კვლევა იძლევა HPV პრევალენტობის განახლებულ შეფასებას და ხელს უწყობს საშვილოსნოს ყელის კიბოს წინარე დაავადებების ტვირთის გაგებას საქართველოს მოსახლეობაში.

კვლევის ჰიპოთეზა/საკვლევი საკითხები

მიზანი-ამ კვლევის მიზანი იყო მაღალი რისკის ადამიანის პაპილომავირუსის დნმ ტესტის (HPV ტესტი) ეფექტურობის შეფასება CIN2+ დაზიანებების გამოვლენის მხრივ, HPV16/18 გენოტიპირებით და თხევადი ციტოლოგიური (LBC) ტრიაჟით, როგორც საშვილოსნოს ყელის კიბოს პირველადი სკრინინგის მეთოდი, სტანდარტულ Pap ტესტთან შედარებით, ქალებში, რომლებიც გადიან რუტინულ საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგს თბილისში.

16/18 ტიპის ადამიანის პაპილომავირუსის ინფექციების, პათოლოგიური PAP-შედეგებისა და საშვილოსნოს ყელის ინტრაეპითელური ნეოპლაზიის CIN2+ პრევალენტობის (ასაკობრივი სპეციფიკური პრევალენტობის ჩათვლით) შეფასება თბილისში საქართველოს მოქალაქე ქალებში, რომლებსაც ჩატარდათ სკრინინგი.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

საშვილოსნოს ყელის კიბო (სყკ) კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალურ პრობლემად მსოფლიოსთვის. 2022 წელს ის გახდა 348,189 ქალის გარდაცვალების მიზეზი. ახალი შემთხვევების და სიკვდილიანობის უმრავლესობა აღირიცხება განვითარებად ქვეყნებში (Bray et al., 2024) ასეთ ქვეყნებს, არ აქვთ ორგანიზებული სკრინინგისა და ადრეული დიაგნოსტიკის სრულყოფილი პროგრამები და ასევე, კიბოსწინარე დაავადებების და კიბოს მკურნალობის შესაძლებლობები, შეზღუდული რესურსების გამო.

საშვილოსნოს ყელის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის საკმაოდ მკვეთრი განსხვავებები, სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის EU ქვეყნებშიც, ასახავს სკრინინგის პროგრამის განსხვავებულ მოწყობას, რაც გულისხმობს ორგანიზებული, პოპულაციაზე დაფუძნებული და ოპორტუნიტული მოდელების არსებობას, ან სკრინინგის არარსებობას ზოგიერთ ქვეყანაში.

სყკ-ს გამომწვევი მიზეზი, თითქმის 100%-ში, ადამიანის პაპილომავირუსია. საშვილოსნოს ყელის კიბოს უმეტესობა კი ვითარდება დაბალი ხარისხის ბრტყელი ინტრაეპითელური დაზიანების (LGSIL) პროგრესირებით უფრო მაღალი ხარისხის ბრტყელ ინტრაეპითელურ დაზიანებამდე (HGSIL) და შემდგომ დადგენილ კიბომდე. საშვილოსნოს ყელის კიბოს მანიფესტაციამდე შესაძლებელია ერთ ან ორ ათწლეულზე მეტი გავიდეს, რაც საშუალებას გვაძლევს, რეგულარული სკრინინგის წარმოებით, დისპლაზია გამოვავლინოთ ადრეულ ფაზაში და ქირურგიული მოცილებით შევაჩეროთ კიბოს განვითარება.

HPV ინფექცია არის სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია, რომლითაც, ქალების უმეტესობა, სიხოცხლის მანძილზე, ერთხელ მაინც ინფიცირდება. HPV ინფექცია, ხშირ შემთხვევაში, სპონტანურად ალაგდება, თუმცა, შესაძლებელია, იგი პერსისტირებდეს, რა დროსაც წარმოიქმნება საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკი.

პირველი ეტაპზე, ადამიანის პაპილომავირუსი (HPV) აინფიცირებს საშვილოსნოს ყელის ტრანსფორმაციის ზონაში (TZ) მდებარე მეტაპლაზიურ ეპითელიუმს, ვირუსი, ელიმინაციის ნაცვლად ხდება პერსისტული, ამის შემდგომ,

ინფიცირებული ეპითელიუმი პროგრესირებს კიბოსწინარე დაზიანებებამდე, რაც საბოლოოდ მთავრდება ეპითელიუმის ბაზალური მემბრანის ინვაზიით.

მიუხედავად იმისა, რომ, არ არიან გადამწყვეტი განმსაზღვრელი ფაქტორები, HPV-ით დაინფიცირებასა და კიბოს განვითარებაზე გავლენას ახდენენ სხვადასხვა რისკ ფაქტორები, რომელთაგან ძირითადია:

სქესობრივი ქცევა და ვირუსთან კონტაქტი-ადრეული სქესობრივი ცხოვრება და სქესობრივი პარტნიორების სიმრავლე ასოცირდება HPV-ს ინფიცირების ყველაზე მაღალ რისკთან (Muñoz et al., 2006) (International Agency for Research on Cancer (IARC), 2007: "Cervical cancer screening);

იმუნოსუპრესია-იმუნოსუპრესიული მდგომარეობები, როგორცაა HIV/AIDS, ზრდის HPV-ს მიმართ მგრძნობელობას და საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარების რისკს (G. Clifford et al., 2006) (Boily et al., 2022)(UNAIDS, 2022 "Impact of HIV on cervical cancer development); ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ) მქონე და სხვა იმუნიტეტდაქვეითებულ ქალებს უფრო მეტად უვითარდებათ პერსისტული HPV ინფექცია, რომელიც შეიძლება პროგრესირებდეს (უფრო სწრაფად) კიბოსწინარე დაზიანებებამდე და მანიფესტირებულ საშვილოსნოს ყელის კიბომდე.

თამბაქოს მოხმარება-თამბაქოს ქიმიური ნივთიერებები საშვილოსნოს ყელის ეპითელიუმზე მოქმედებენ, როგორც კანცეროგენები (Plummer et al., 2003) (IARC Monographs on the Evaluation of Carcinogenic Risks to Humans, 2004).

პერორალური კონტრაცეფცია-ჰორმონული კონტრაცეფციის ხანგრძლივი გამოყენება (10 წელზე მეტი), ასევე, ასოცირდება საშვილოსნოს ყელის კიბოს რისკის ზრდასთან (Moreno et al., 2002) (International Collaboration of Epidemiological Studies of Cervical Cancer, 2007);

კო-ფაქტორების შორის, ასევე, მნიშვნელოვანია მშობიარობების რაოდენობა (მრავალჯერადი ორსულობა და მშობიარობა), სქესობრივი გზით გადამდები სხვა თანდართული ინფექციები, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (სამედიცინო სერვისებზე შეზღუდული წვდომა) და სხვ.

საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების უმრავლესობის თავიდან აცილება შესაძლებელია კიბოსწინარე პათოლოგიების დროულად გამოვლენითა და

სათანადო მკურნალობით. საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირება შესაძლებელია პირველადი (HPV ვაქცინაცია) და მეორადი (სკრინინგი და კიბოსწინარე დაზიანებების მკურნალობა) პრევენციის ეფექტურად განხორციელებით. ამისათვის მნიშვნელოვანია, ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელებმა, მთელ მსოფლიოში, ხელი შეუწყონ სკრინინგსა და ვაქცინაციას და თემის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამებს.

2020 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (ჯანმო), საშვილოსნოს ყელის კიბოს, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემის, ელიმინაციის დასაჩქარებლად, გამოაქვეყნა სტრატეგია და დასახა 2030 წლისათვის მისაღწევი მიზნები, რაც მოიცავს: 9-12 წლის გოგონების 90%-ის ვაქცინაციას ადამიანის პაპილომავირუსის (აპვ) ვაქცინით, სამიზნე ჯგუფის ქალების 70%-ის ჩართვას მაღალი ხარისხის ტესტით ჩატარებულ სკრინინგში (თუნდაც ორჯერ 35 და 45 წლის ასაკში) და დადებითი სკრინინგის ტესტის ან საშვილოსნოს ყელის დაზიანების მქონე ქალების 90%-ის სათანადოდ მართვას და მკურნალობას (Canfell, 2019).

პირველადი პრევენცია - HPV ვაქცინაცია

პირველადი პრევენცია გულისხმობს დაავადებების განვითარებისა და გამომწვევი ფაქტორების ზემოქმედებისგან დაცვას. საშვილოსნოს ყელის კიბოს პირველადი პრევენცია შესაძლებელია HPV პროფილაქტიკური ვაქცინაციით, რომლის საშუალებითაც მცირდება HPV ინფექციების გავრცელება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების განვითარების შემცირებას. ვაქცინაციასთან ერთად, აუცილებელია, საგანმანათლებლო კამპანიების წარმოება.

პირველი პროფილაქტიკური HPV ვაქცინა ლიცენზირებული იქნა 2006 წელს. ამჟამად ლიცენზირებულია 6 ვაქცინა: სამი ბივალენტური, ორკომპონენტური ვაქცინა (Cervarix, Cecolin და Walrinvax)- ახორციელებს დაცვას HPV16 და HPV18 გენოტიპებისგან; ორი ოთხვალენტური, ოთხკომპონენტური ვაქცინა (გარდასილი და ცერვაკი)-იცავს HPV16 და HPV18, ასევე, არაონკოგენური ტიპისგან HPV6 და HPV11; და ერთი ნანოვალენტური, ცხრაკომპონენტური ვაქცინა (გარდასილი 9)-

იცავს შემდეგი ტიპებისგან: HPV16, HPV18, HPV6, HPV11, HPV31, HPV33, HPV45, HPV52 და HPV58 (WHO, 2022). ევროპაში გავრცელებულია 3 HPV ვაქცინა: Cervarix, Gardasil და Gardasil 9.

ყველა ლიცენზირებული ვაქცინა შეიცავს ვირუსის მსგავს ნაწილაკებს (VLP). აღნიშნული ნაწილაკები (VLP) დამოუკიდებლად იკრიბებიან L1 ძირითადი კაფსიდური ცილის ასლებიდან, რომელიც წარმოიქმნება რეკომბინანტული დნმ ტექნოლოგიის გამოყენებით. HPV ვაქცინებში შემავალი L1 ვირუსის მსგავსი ნაწილაკები (VLP) ანტისხეულების წარმოქმნით ხელს უშლიან HPV ვირუსის შეღწევას უჯრედში. VLP არ შეიცავს ვირუსულ დნმ-ს, ვერ წარმოქმნიან ინფექციას და არიან არაონკოგენური.

HPV ვაქცინის მიერ მინიჭებული დაცვა დამოკიდებულია სპეციფიკური ტიპის გამანეიტრალებელი ანტისხეულების წარმოებაზე, მსგავსი ტიპის ჯვარედინი დაცვით. ამიტომ, დაცვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ HPV VLP გენოტიპებს შეიცავს ვაქცინა:

ყველა HPV ვაქცინა შეიცავს HPV16 და HPV18 VLP-ებს. ეს ტიპები იწვევს საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევების 70%-ზე მეტს და 53%-91%-ს HPV-სთან დაკავშირებული ვულვის, საშოს, პენისის, ანუსის, პირის ღრუს და ხორხის კიბოს (de Sanjosé et al., 2018).

ოთხვალენტიანი და ნანოვალენტური ვაქცინები ასევე იცავს HPV6 და HPV11-ისგან, რომლებიც იწვევენ ანოგენიტალური მეჭეჭების დაახლოებით 90%-ს (Olsson et al., 2009)(Garland et al., 2009) და მორეციდივე რესპირატორული პაპილომატოზის 95%-ზე მეტს (Gillison et al., 2012).

ნანოვალენტური ვაქცინა უზრუნველყოფს დაცვას ხუთი დამატებითი ონკოგენური გენოტიპისგან (HPV31, HPV33, HPV45, HPV52 და HPV58). აქედან გამომდინარე, ის იცავს ქალებს საშვილოსნოს ყელის კიბოს დაახლოებით 90% შემთხვევისაგან და HPV-სთან დაკავშირებული ვულვის, საშოს, პენისის, ანუსის, პირის ღრუს და ხორხის კიბოს 78%-96% შემთხვევებისაგან (de Sanjosé et al., 2018).

ვაქცინაციის შედეგად ხდება პრაქტიკულად 100 %-იანი დაცვა, რაც მკვეთრად განსხვავდება ბუნებრივად გადატანილი ინფექციით მიღებული სეროკონვერსიისაგან (Bosch et al., 2013).

ვაქცინები ახდენენ არამართო პირდაპირ დაცვას, კონკრეტულ ვაქცინაში შემავალი HPV გენოტიპისაგან, არამედ, ჯვარედინ დაცვასაც ზოგიერთი სხვა HPV გენოტიპისგან.

კვლევების მიხედვით, ვაქცინები ეფექტურად ამცირებს საშვილოსნოს ყელის დაავადებებისა და გენიტალური დისპლაზიის შემთხვევებს (Crowe et al., 2014)(St. Laurent et al., 2018)(Patel et al., 2018)(Wheeler et al., 2016)(Arbyn et al., 2018)(Garland et al., 2016). გარკვეულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ვაქცინები ეფექტურია HPV ინფექციების ხელახალი ინფიცირებისა და ვაქცინის გენოტიპების რეაქტივაციის პრევენციაში, მაგრამ, ის არ მოქმედებს უკვე არსებული HPV ინფექციებისა და დაავადებების წინააღმდეგ (Olsson et al., 2009). ზოგიერთი მცირე მასშტაბის კვლევით იკვეთება HPV ვაქცინის გამოყენების სარგებელი, დისპლაზიის მკურნალობის შემდეგ რეციდივის რისკის შესამცირებლად (W. D. Kang et al., 2013)(Petrillo et al., 2020).

ამჟამად ლიცენზირებული HPV ვაქცინები პროფილაქტიკურია. ისინი ხელს უშლიან HPV ინფექციას და HPV-სთან დაკავშირებულ დაავადებას, მაგრამ არ აქვთ თერაპიული ეფექტი არსებულ ინფექციებსა და დაზიანებებზე.

HPV ვაქცინები, ეროვნული იმუნიზაციის პროგრამაში პირველად შევიდა 2006 წელს. პირველ ეტაპზე, ის ხელმისაწვდომი იყო მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის; დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში გავრცელდა მხოლოდ ბოლო პერიოდში.

2024 წლის მარტისთვის, ჯანმო-ს 194 წევრი ქვეყნიდან 141-მა (72,7%) დანერგა HPV ვაქცინა თავიანთ ეროვნული იმუნიზაციის პროგრამებში. HPV ვაქცინაცია, 9-14 წლის გოგონებისთვის, უმეტეს წილად სკოლების ბაზაზე ხორციელდება. ვაქცინაციის პროგრამების 42 % (n=59) მოიცავს გოგონებსა და ბიჭებს. აშშ მიჰყვებოდა გენდერულად ნეიტრალური HPV ვაქცინაციის სტრატეგიას 2011 წლიდან, ხოლო ავსტრალიამ, პროგრამა აღნიშნული სქემით, დაიწყო 2013 წელს. სხვა ქვეყნების უმეტესობამ, როგორც გოგონების, ასევე, ბიჭების ვაქცინაციის რეკომენდაცია აამოქმედა ცოტა ხნის წინ.

გოგონების პოპულაცია, რომლებმაც ჩაიტარეს HPV ვაქცინაცია 141 ქვეყანაში, შეადგენს გოგონების მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ ერთ მესამედს. 2022 წელს,

პროგრამებს მთელ მსოფლიოში ჰქონდათ საშუალო 55%-იანი, პირველი დოზის და 44%-იანი შესრულება, სრული რეკომენდებული გრაფიკისთვის (*WHO Immunization Data Portal - All Data*, n.d.).

ადამიანის პაპილომავირუსის (HPV) ვაქცინები თავდაპირველად ლიცენზირებული იყო სამი დოზის სქემით 0, 1-2 და 6 თვე, ვაქცინის სახეობის მიხედვით. 15 წლამდე ასაკის 0 და 6 თვეზე ორი დოზის სქემა, მოგვიანებით იქნა ავტორიზებული.

ბოლო წლებში დაგროვდა მტკიცებულებები, HPV-ის ერთჯერადი ვაქცინაციის გრაფიკის ეფექტურობის შესახებ. გარკვეული კვლევები მიუთითებს, რომ ერთჯერად დოზას აქვს ისეთივე ეფექტურობა და გრძელვადიანი დაცვა, როგორც ორი დოზის გრაფიკს და ეს მიდგომა შეიძლება წარმოადგენდეს გარკვეულ უპირატესობებს HPV ვაქცინაციის პროგრამებისთვის (Watson-Jones et al., 2022)(Barnabas et al., 2022)(Kreimer et al., 2020)(Basu et al., 2021).

მიუხედავად იმისა, რომ ეფექტური პრევენციული ღონისძიებებით საშვილოსნოს ყელის კიბოს ინციდენტობის შემცირების კარგი პროგნოზია, მაინც დარჩება ქალების ნაწილი, ვისაც არ ექნება ვაქცინაცია ჩატარებული, ამასთან, მოიმატებს ვაქცინირებული ქალების რიცხვი. ამიტომ სკრინინგის პროგრამების ალგორითმები, დროთა განმავლობაში, უნდა გადაიხედოს და მოერგოს ახალ საჭიროებებს.

სკრინინგი - მეორადი პრევენცია

მეორადი პრევენცია გულისხმობს დაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენასა და მკურნალობის გზით დაავადების განვითარების თავიდან აცილებას.

სკრინინგი არის მოსახლეობის მასობრივი, სისტემატური გამოკვლევა დაავადების ადრეულ სტადიაზე ან დაავადების განვითარების რისკის მქონე პირების გამოვლენის მიზნით.

1968 წელს, ვილსონმა და ჯანგნერმა ჩამოაყალიბეს ჯანმოს ეფექტური სკრინინგის კრიტერიუმები (Wilson & Jungner, n.d.), რომლებიც მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

- შესწავლილი უნდა იყოს დაავადების ბუნებრივი განვითარების ისტორია, არსებობდეს ლატენტური სტადია და უნდა იყოს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემა;
- შეთავაზებული სკრინინგული ტესტი უნდა იყოს მოსახერხებელი, საკმარისად ზუსტი, სანდო და მოსახლეობისთვის მისაღები;
- უნდა არსებობდეს მკურნალობასთან დაკავშირებული პოლიტიკა;
- დაავადების გამოვლენა და მკურნალობა უნდა იყოს ხარჯთეფექტური და მასთან დაკავშირებული სარგებელი უნდა აღემატებოდეს ზიანს.

სეკ სკრინინგის მიზანია, ასიმპტომურ ფაზაში გამოავლინოს კიბოსწინარე დაზიანებების მქონე, შესაბამისად, კიბოს განვითარების რისკის ქვეშ მყოფი ქალები და საჭიროებისამებრ, განახორციელოს შეაბამისი მკურნალობა ინვაზიურ კიბოდ პროგრესირებამდე (WHO, 2014)(World Health Organization, 2014).

სკრინინგის პროგრამით სეკ ინციდენტობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, მიზნობრივი მოსახლეობის პროგრამაში ჩართვის (ე.წ. მოცვის მაჩვენებელი) მაღალია, და პროცესის ყველა ეტაპი არის ოპტიმიზირებული. მათ შორის: ინფორმაციის გავრცელება, მოწვევები, ნიმუშის აღება, ტესტის შესრულება და სიზუსტე, შემდგომი მართვა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მკურნალობა.

აღსანიშნავია, რომ სკრინინგში მონაწილეობა, ქალებს, თითქმის 90%-ით იცავს საშვილოსნოს ყელის კიბოსგან. ხოლო, საშვილოსნოს ყელის კიბოს დიაგნოზის მქონე სკრინინგგავლილ ქალებში, გადარჩენის მაჩვენებელი უფრო მაღალია (92%), შედარებით ანალოგიური დიაგნოზის მქონე იმ პირებთან, რომლებსაც არ აქვთ ჩატარებული სკრინინგული გამოკვლევები (66%) (Andrae et al., 2012).

კიბოსწინარე დაზიანებების აღმოჩენასთან ერთად, რაც სეკ სკრინინგის ძირითადი მიზანია, მნიშვნელოვანია კიბოს, რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე (ინვაზიური კიბო) აღმოჩენა, სიმპტომების გამოვლენამდე.

სწორედ, საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კიბოს მკურნალობა ან და რეაბილიტაციის პროცესის მხარდაჭერა განიხილება მესამეულ პრევენციად. დიაგნოზის შესაბამისად, მკურნალობის ვარიანტები მოიცავს ქირურგიულ ჩარევას,

რადიო-ქიმიოთერაპიას, ქიმიოთერაპიას და პალიატიურ ზრუნვას, რაც მიზნად ისახავს პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და სიმპტომების მართვას (WHO, 2014)(World Health Organization, 2014).

მსოფლიოში ციტოლოგიური სკრინინგის (Pap ტესტის) ფართოდ დანერგვის დამსახურებაა ბოლო სამოცი წლის განმავლობაში სეკ-ს ავადობის და სიკვდილიანობის დრამატული შემცირება განვითარებულ ქვეყნებში. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ადამიანის პაპილომავირუსის HPV დნმ ტესტი ფართოდ განიხილება სეკ-ს სკრინინგის ალტერნატიულ ტესტად (Sankaranarayanan, 2014).

სკრინინგის სტრატეგია განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებში. ის დამოკიდებულია ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ჯანდაცვის სისტემის სპეციფიკაზე და სამედიცინო დაწესებულების ინფრასტრუქტურაზე(Zhang & Batur, 2019)(Bouvard et al., 2021).

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი შესაძლებელია ჩატარდეს სხვადასხვა ტესტებით, საშვილოსნოს ყელის კიბოს წინა დაზიანების რისკის შესაფასებლად. ბოლო 15 წლის განმავლობაში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის სფეროში დანერგილია ინოვაციური ტესტები, მათ შორის ვიზუალური დათვალიერება მმარმჟავას გამოყენებით (VIA) და მოლეკულური ტესტები, რომლებიც ძირითადად დაფუძნებულია მაღალი რისკის HPV დნმ-ზე. აღნიშნული ტესტები უნივერსალურად გამოსაყენებელია სხვადასხვა გარემოში (ცხრილი 7).

თანამედროვე სკრინინგის პრაქტიკაში ბოლო დროს დაინერგა კიდევ უფრო ინოვაციური მეთოდები, რომელთა შორისაა: მოლეკულური ტესტები- HPV მ რნმ-ის (mRNA) გამოვლენა, ონკოპროტეინების გამოვლენა ან დნმ-ის მეთილაცია; ციტოლოგიურ ნიმუშებზე ჩატარებული უფრო ობიექტური ტესტირება, მაგალითად p16/Ki-67 ორმაგი შეღებვა; ვიზუალური დათვალიერების მოწინავე მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების ტექნოლოგიებზე. ეს მოიცავს ციფრული სურათების ავტომატურ ანალიზს და ვიზუალურ შეფასებას.

მოლეკულური ტესტები	ციტოლოგიური ტესტები	ვიზუალური დათვალიერების ტესტები
ნუკლეური მჟავის ამპლიფიკაციის ტესტები (a) • მაღალი რისკის HPV დნმ • მ რნმ • დნმ მეტილაცია (b) • პროტეინის ბიომარკერები (b) - HPV ანტისხეულები - ონკოპროტეინები	ჩვეულებრივი პაპ ტესტი (a) • სითხეზე დაფუძნებული ციტოლოგია (LBC) (a) • p16/Ki-67 ორმაგი შეღებვა (a)	ვიზუალური დათვალიერება მმარმეავას ხსნარით ან ლუგოლის ხსნარით (VIA/VILI) (a) • შეუიარაღებელი თვალით • კოლპოსკოპით ან კამერით გადიდებული • ავტომატიზირებული ვიზუალური შეფასება ციფრული სურათების (b)

ცხრილი N7. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ტესტები

აღნიშნული ინოვაციები მნიშვნელოვან პროგრესს წარმოადგენს სკრინინგის პროცესში და უზრუნველყოფს კვლევების უფრო მაღალი სიზუსტითა და ეფექტურობით შესრულებას. ეს კი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კლინიკური მენეჯმენტის ხარისხს (Arbyn et al., 2010b)(Arbyn et al., 2010a)(Arbyn et al., 2012) (Arbyn et al., 2011).

მრავალი ქვეყნისთვის Pap ტესტი კვლავ წარმოადგენს ოქროს სტანდარტს სეკ-ს სკრინინგში. Pap ტესტით შესაძლებელია უჯრედების ციტოლოგიური ანალიზი, რაც იძლევა დისპლაზიური უჯრედების იდენტიფიცირების საშუალებას. მაგრამ Pap ტესტის მგრძნობელობა არის დაბალი, რამაც რიგ ქვეყნებში გამოიწვია მისი ჩანაცვლება HPV ტესტით (SL et al., 2020).

ბოლო კვლევებმა აჩვენა, რომ HPV ტესტზე დაფუძნებული სკრინინგი უზრუნველყოფს უფრო მაღალ დაცვას ინვაზიური კიბოსგან მაღალი მგრძნობელობის გამო. ამასთანავე, მაღალი უარყოფითი პროგნოზული ღირებულების გამო, HPV სკრინინგი იძლევა სკრინინგის ინტერვალის 5 წლამდე

